დანართი No. 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"არქიტექტურათმცოდნეობა"
დოქტორანტურა
სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 1 სექტემბერი, 2023 წელი

დასკვნის ჩაბარების თარიღი 28 დეკემბერი, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 19
3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 26
4 სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა 30
5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი 40

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349 192
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. დანა არნოლდი, არქიტექტურის მანჩესტერის სკოლა, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჭოგოშვილი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დიმიტრი ცანავა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სტუდენტი ექსპერტი

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	არქიტექტურათმცოდნეობა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Architectural Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	VIII დონე, დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	45
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #551; 28.09.2012წ
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში ან მასთან დაკავშირებულ დარგებში. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციები, მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სასწავლო/ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერთიფიკატები, აღიარებები, პატენტები და ა.შ.).

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

	პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც ნაჩვენები იქნება კანდიდატის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ- ს საგამოცდო ცენტრში. ინგლისურენოვანი უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატს არ მოეთხოვება სერთიფიკატის წარდგენა ან გამოცდის ჩაბარება.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა
  - არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 28 სექტემბერს. ამ პროგრამას მუდმივად აანალიზებდა და ამოწმებდა ფართო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები. პროგრამამ ასევე თავის სასარგებლოდ გამოიყენა უცხოელი კოლეგებისგან მიღებული უკუკავშირი. ამ მუდმივი კონსულტაციების პროცესმა არაერთი ცვლილება გამოიწვია 2016- 2021 წლების პროგრამაში. ეს ცვლილებებია:
  - სტუ- ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 მაისის #2005 დადგენილება, პროფესორ ნიკოლოზ შავიშვილის ნაცვლად შეცვლილი პროგრამის ხელმძღვანელად პროფესორი მაია დავითაიას დანიშნის შესახებ.
  - 2017 წლის 19 ნოემბრის #2627 დადგენილება სტუ- ს აკადემიური საბჭოს საფუძველზე ყველა სილაბუსის კოდის შეცვლის შესახებ.
  - 2017 წლის 27 დეკემბრის #2691 დადგენილება ყველა სილაბუსში სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის, ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შეცვლის შესახებ. ერთი კრედიტის რაოდენობა 27- ის ნაცვლად 25 საათით განისაზღვრა.
  - 2018 წლის 2 აპრილს პროგრამა და სილაბუსები შეიცვალა იმავე დადგენილების შესაბამისად; პროგრამას დაემატა აღწერა; შეიცვალა პროგრამაში შემავალი სპეციალური კურსების შინაარსი; განახლდა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (რეზოლუცია 01-05-04/95).
  - 2021 წლის 26 თებერვლის სტუ- ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #01- 05- 04/30 - პროგრამაში გასწორდა კრედიტების მიხედვით პროგრამის მოცულობის აღწერა. კერძოდ, მანამდე იყო „ხელოვნების დოქტორი / კვალიფიკაცია მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის ათვისების შემთხვევაში“, გახდა „ხელოვნების დოქტორი / კვალიფიკაცია მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტის 60 კრედიტის და კვლევითი კომპონენტის ათვისების შემთხვევაში. სწავლის

ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი; შეიცვალა პროგრამის აღწერა, საგნობრივი დატვირთვა, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/38 12.04.2021წ.).

- ეს შეფასება ყურადღებას ამახვილებს არქიტექტურათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის შემოთავაზებულ განვითარებაზე, რომელიც გამომდინარეობს სტუ- ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 აპრილის N01-05-04/59 დადგენილებიდან. თვითშეფასების ანგარიში განსაზღვრავს შემოთავაზებულ ცვლილებებს, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ:
    1. შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობა - იყო ასოცირებული პროფესორი, გახდა პროფესორი;
    2. შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია - იყო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გახდა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი;
    3. დაზუსტდა პროგრამის მოცულობა კრედიტებით - იყო 60 და გახდა 45.
    4. შეიცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობები, კერძოდ, მაგისტრის ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში ან მასთან დაკავშირებულ დარგში ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი გახდა სავალდებულო. ასევე ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
    5. შეიცვალა პროგრამის აღწერა;
    6. პროგრამის მიზანი დაიხვეწა და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა, რამაც მკაფიოდ გამოკვეთა პროგრამის სპეციფიკა.
    7. შეიცვალა სწავლის შედეგები/ კომპეტენციები, #69/ ნ ბრძანების შესაბამისობად;
    8. შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა და საგნობრივი დატვირთვა და ახლა ორიენტირებულია განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე.
    9. შეიცვალა თანდართული სილაბუსების რაოდენობა - იყო 4, გახდა 9;
    10. პროგრამის კითხვის გამარტივების მიზნით პროგრამიდან ამოიღეს სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისი აქტივობების აღწერითი ნაწილი.
    11. დასაქმების სფეროების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდა;
    12. შესწორდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების აღწერითი ნაწილი, გარდა ამისა, პროგრამის განმახორციელებლები შეიცვალა მაღალკვალიფიციური კადრებით;
    13. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები: 1. ხელოვნებათმცოდნეობის კვლევის მეთოდები არქიტექტურის მიმართულებით; 2. დღევანდელი ქართული არქიტექტურის განსხვავებული სახე; 3. ფორმა ავანგარდში; 4. კოდები და ნიშნები არქიტექტურაში; 5. რეგიონალიზმის გლობალური მიღწევები; 6. პროფესორის ასისტენტობა (არქიტექტურათმცოდნეობა);
    14. არსებული 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“ შეიცვალა 4 კრედიტიანი კურსით „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“; ხოლო სასწავლო კურსის "სწავლების მეთოდები" კრედიტი შეიცვალა - იყო 5 და გახდა 6; შეიცვალა სასწავლო კურსის „არქიტექტურული მემკვიდრეობა“ სწავლების მეთოდი - სემინარის დამატების ხარჯზე, სასწავლო კურსის „ჩვეულებრივი ქალაქის დასასრული“ (რომელიც ამოღებულია პროგრამიდან) შინაარსი იმავე კურსის შინაარში აისახა; ორივე თემატური სემინარი, რომელიც არ

უკავშირდება სადოქტორო თემას, ამოღებულია პროგრამიდან, რის ხარჯზეც გაძლიერდა პროფესორის ასისტენტობის დატვირთვა და კვლევითი კომპონენტი.

15. დამუშავდა პროგრამის დანართები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში ვიზიტი ჩატარდა 2023 წლის 1 სექტემბერს. ვიზიტს პირადად ესწრებოდნენ პროფესორი ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, პროფესორი ნინო ჭოგოშვილი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო და სტუდენტთა წარმომადგენელი დიმიტრი ცანავა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ჯგუფის თავმჯდომარე, პროფესორი, დოქტორი დანა არნოლდი (მანჩესტერის არქიტექტურის სკოლა, დიდი ბრიტანეთი) ესწრებოდა ონლაინ. ადგილზე ვიზიტი მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, ხოლო თავმჯდომარეს ყოველი შეხვედრის ბოლოს შეჯამების სახით უთარგმნიდნენ გასაუბრების მსვლელობას. ჯგუფმა მოამზადა გარკვეული შეკითხვები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშიდან გამოიკვეთა, და რომლებიც გასაუბრებების დროს უნდა დაესვათ თითოეული ჯგუფისთვის. ამ კითხვებიდან საკმაოდ ვრცელი დისკუსია წარმოიშვა. ასევე მოეწყო დაწესებულების დათვალიერება, რასაც თავმჯდომარე ვერ დაესწრო, ამიტომ აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის დასრულების შემდეგ, ჯგუფის სხვა წევრებმა ანგარიშის სახით აცნობეს თავმჯდომარეს ობიექტების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ჯგუფზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა პროგრამის მაღალმა ხარისხმა და მასში შემოთავაზებულმა ცვლილებებმა, ასევე თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე გუნდის ერთგულებამ. ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან

- სტანდარტი 1, საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, სწავლის შედეგები,
- სტანდარტი 3 სტუდენტთა მიღწევები,
- სტანდარტი 4 სწავლების რესურსები
- სტანდარტი 5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

ჯგუფმა მიიჩნია, რომ პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია 2 სტანდარტის მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, შეფასების ადეკვატურობა

- **რეკომენდაციები**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

2.2 სამეცნიერო- კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებში ჩართვა

2.2 ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება; დოქტორანტების ჩართვა საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, მათი ინფორმირება და მოტივაცია.

2.3 სადოქტორო პროგრამას უნდა დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს ვიზუალური ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სხვადასხვა დარგის კვლევასა და ანალიზს.

4.1 პროგრამაში დამატებით ჩართული უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც წაიყვანს სასწავლო კურსებს ხელოვნების ისტორიის, ვიზუალური ხელოვნებისა და თეორიის დეპარტამენტში.

4.1 დოქტორანტების ინტეგრაციის გაძლიერება საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში.

5.3 პროგრამის მონიტორინგმა უნდა უზრუნველყოს, რომ დოქტორანტებმა ანონიმურად შეაფასონ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

3.1 სასურველია დოქტორანტებმა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და გამოიყენონ უცხოური სამეცნიერო ბაზები.

4.4 ფაკულტეტის ტექნიკური ბაზის განახლება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი N1760410, 25/12/2023) და გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციები.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

---

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას სამი ძირითადი მიზანი აქვს:

მაღალი დონის მკვლევრების მომზადება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგში, რომლებიც არქიტექტურათმცოდნეობაზე იქნებიან ორიენტირებული. სილაბუსი მოიცავს მსოფლიო არქიტექტურის განვითარებას, სტილისტური თავისებურებების ევოლუციას და ცვლილებას, არქიტექტურული სკოლების თავისებურებებს, ეროვნულ და რეგიონულ ტენდენციებს, ცალკეული არქიტექტორებისა და ხელოვანების შემოქმედებას და მუშაობის მეთოდებს; ასევე არქიტექტურული შემოქმედების თანამედროვე ნიმუშების არქიტექტურულ კრიტიკას, განმარტებას და შეფასებას.

ისეთი კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც ფლობენ უახლეს ცოდნას სასწავლო სფეროს განვითარების შესახებ, გააზრებული აქვთ არქიტექტურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები და შეუძლიათ ამ ცოდნის გამოყენება სიღრმისეული და ინოვაციური კვლევისთვის, რომელიც ტარდება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.

კურსდამთავრებულების აღჭურვა აკადემიური/ პედაგოგიური საქმიანობის შესაბამისი უნარებით დარგის არსებულ მკვლევრებთან ინტეგრირებისთვის.

ეს არის ამბიციური ახალი პროგრამა, რომელიც ეფუძნება ხელოვნების ისტორიის სფეროში არსებული სადოქტორო პროგრამების ძლიერ მხარეებს. სასწავლო პროგრამა და შემოთავაზებული ვარიანტები დადებითად ფასდება დოქტორანტურის მიმდინარე შეთავაზებების გაფართოებისა და მათი გაუმჯობესებისთვის კარგად დაგეგმილი არქიტექტურული კვლევების კურსებით. პროგრამის გუნდის დამსახურებაა, რომ მათ მიერ შეთავაზებული კურსები სტუდენტებს უვითრებთ ისტორიულ, თეორიულ და პროფესიონალურ უნარებს. ცხადია, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები მზად იქნებიან აკადემიაში

შესასვლელად ან ისეთი კარიერისთვის, როგორიცაა არქიტექტურული მემკვიდრეობა ან არქიტექტურული პროფესიის სხვა ასპექტები. პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო პერსპექტივით, რაც ასევე დასაფასებელია. საერთო ჯამში, ეს არის შთამბეჭდავი ახალი პროგრამა და გუნდს უნდა მივულოცოთ მისი დახვეწილი დიზაინი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურათმცოდნეობა" მიზნების მტკიცებულება მოყვანილია
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები https://gtu.ge/AboutStu/Mission.php
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018 -2024 https://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_01.pdf
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2022-2028 https://gtu.ge/pdf/gtu-strategy.pdf
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (სტუ- ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #01- 05- 04/261)
- არქიტექტურის, ქალაქგეგმარებისა და დიზაინის ფაკულტეტის დებულება (სტუ- ს აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი დადგენილება #01- 05- 17/05)
- შრომის ბაზრის ანალიზი
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- დარგის სპეციალისტების უკუკავშირი პროგრამის შესახებ
- არქიტექტურის, ქალაქგეგმარებისა და დიზაინის ფაკულტეტის ვებსაიტი https://gtu.ge/Arch/#

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამ პროგრამის დოკუმენტაცია სრულადაა წარმოდგენილი და გვთავაზობს იმის დეტალურ აღწერას, თუ როგორ შეესაბამება იგი სტანდარტს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მის მიზნებს. შედეგები ეხება არქიტექტურათმცოდნეობის სპეციფიკას ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროს ფარგლებში და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს VIII დონეს. მთლიანობაში, დოკუმენტაცია ასახავს, თუ როგორ მიიღებენ სტუდენტები პროგრამის დასრულების შემდეგ შესაბამის ცოდნას და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელიც შეესაბამება მიზნებს. შემოთავაზებული კურსების სილაბუსები ნათლად აჩვენებს, როგორ მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგები. ეს ნათლად ჩანს გაშუქებულ თემებში, გამოყენებულ მეთოდოლოგიებში, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლაში და კურსის გუნდის მიერ გამოყენებულ სხვა ინოვაციურ პედაგოგიკაში. გარდა ამისა, კურსებში გაშუქებული მასალა და პროგრამის მიმართულება არის მნიშვნელოვნად საერთაშორისო. თუ როგორ აკმაყოფილებს პროგრამა სტანდარტების მოთხოვნებს განხილულ თემებთან მიმართებაში, კარგად ჩანს იმაში, თუ როგორ არის ახსნილი მსოფლიო არქიტექტურის განვითარება, მათ შორის სტილისტური ცვლილებები, არქიტექტურული სკოლების გამორჩეულობა, ეროვნული და რეგიონული ტენდენციები, ცალკეული არქიტექტორების და მხატვრების კრეატიულობა და მუშაობის მეთოდები. ამისათვის პროგრამა იყენებს კვლევის ინოვაციურ მეთოდებს არქიტექტურული შემოქმედების თანამედროვე ნიმუშების შეფასებისა და კრიტიკის მიზნით, არქიტექტურათმცოდნეობის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის დოკუმენტაცია აჩვენებს, თუ როგორ შეხვდებიან სტუდენტები ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგებს ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებზე, თემატურ დისკუსიებსა და რეცენზირებად სამეცნიერო პუბლიკაციებში. ასევე ნათელია, რომ სტუდენტები შეიძენენ ახალ ცოდნას და უნარებს, რომლებიც დააკმაყოფილებს დამსაქმებლების და ამ სფეროში მომუშავე სხვა სპეციალისტების საჭიროებებს. ამ პროგრამის კურსები გამოიყენებს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც ასევე სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვის. ამ სტანდარტისთვის შესაბამის ანალიტიკურ და ლოგიკურ აზროვნებაზე დაყრდნობით, სტუდენტები შეისწავლიან, როგორ გამოიტანონ დასკვნები და გადაჭრან არქიტექტურასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემები. პროგრამა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში განხილულია არქიტექტურათმცოდნეობის ყველაზე აქტუალური პრობლემები და მნიშვნელოვანი საკითხები და იმ წვლილისთვის, რომელიც მას დარგის განვითარებაში შეაქვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მიზნებთან მიმართებაში სწავლის შედეგების მტკიცებულებები და მაჩვენებლებია:
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამა "არქიტექტურათმცოდნეობა"
- შემოთავაზებული კურსების სილაბუსები
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება #69/ ნ "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ".
- დარგის სპეციალისტების უკუკავშირი პროგრამის შესახებ
- აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- **არ არის მითითებული**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- **არ არის მითითებული**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (LO) შეფასების მექანიზმი. ეს მექანიზმი განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მთელ ციკლს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად იგი იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება

დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, დარგის ექსპერტების) გამოკითხვით სპეციალური კითხვარების გამოყენებით. გარდა ამისა, პროგრამის პერიოდულ შეფასებას ატარებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისია. ეს კომისია შედგება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისგან.
მთლიანად პროგრამის, მისი სასწავლო კომპონენტისა და კვლევის კომპონენტის (განსაკუთრებით დისერტაციის დაცვისა და შეფასების პროცედურა) შეფასების მექანიზმები მკაფიოდ განსაზღვრული და გამჭვირვალეა. ცალკეული კურსის სილაბუსი მოიცავს ამ კონკრეტული კურსის შედეგების ძალიან დეტალურ და გამჭვირვალე მიმოხილვას და აკავშირებს ამ მოსალოდნელ შედეგებს შეფასების მექანიზმებთან და შეფასების კრიტერიუმებთან.

თითოეული სწავლის შედეგისთვის უნივერსიტეტი განსაზღვრავს ორი ტიპის მახასიათებლებს: ჩარიცხული სტუდენტების სამიზნე დონეს (%) და სტუდენტთა ქულების/ აკადემიური მიღწევების სამიზნე დონეს (%). თითოეული სწავლის შედეგისთვის ზემოთ აღნიშნული რუკა მიუთითებს კავშირებს შემდეგ კომპონენტებს შორის: შეფასების ინდიკატორები, სასწავლო კურსები სწავლის შედეგის შესაფასებლად, სასწავლო კურსის სწავლის შედეგის განვითარების დონე და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები/ სპეციფიკური აქტივობები. უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით და შედეგების შედარება სამიზნე მახასიათებლებთან ჯერ არ განხორციელებულა და უახლოეს მომავალში იგეგმება. ამჟამად პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების/ კურსის შეფასების და სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. შეფასების კომისიის წევრები შესაბამის დეპარტამენტთან ერთად დეტალურად განიხილავენ თითოეული კურსის შეფასების მაჩვენებლებს. შეფასების კომისია წერს შეფასების ანგარიშს და რამდენიმე რეკომენდაციას შესატანი ცვლილებების შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო განიხილავს წამოჭრილ საკითხებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს საჭირო ცვლილებების შესახებ. შეფასების ციკლის დასკვნით ეტაპზე ადეკვატური ცვლილებები შედის როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე, საჭიროების შემთხვევაში, სამიზნე მახასიათებლებში. მთელი ზემოაღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს შედეგების სათანადო შეფასებას პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი https://gtu.ge/quality/
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები

- სტუ- ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის #01- 05- 04/261 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“.
- ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი დებულების დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი დანართები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისიების შემადგენლობა; ფაკულტეტის კომისიის დებულება;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური რუკა
- შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზის დოკუმენტები
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიის ოქმები
- დარგის სპეციალისტების უკუკავშირი პროგრამების შესახებ
- აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
- გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დამატებითი დოკუმენტები: არქიტექტურის, ქალაქდაგეგმარების და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა (2021- 2023 წწ.)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა „არქიტექტურათმცოდნეობა“ შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესების“ მიხედვით. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სფეროს მოთხოვნები, დაინტერესებული მხარეების რჩევები და რეკომენდაციები, შრომის ბაზრის საჭიროებები და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება, მათ შორის: ევგენიუშ გეპერტის ხელოვნებისა და დიზაინის აკადემია ვროცლავში; პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი; Universidad Iberoamericana; ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტი; ესტონეთის სამხატვრო აკადემია. გარე დაინტერესებულ მხარეებთან და საერთაშორისო დაწესებულებებთან ურთერთობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ამ პროგრამის შემუშავებაში.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება VIII დონეს. მისი შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; იგი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი) და ემსახურება მაღალი დონის მკვლევართა მომზადებას არქიტექტურათმცოდნეობის დარგში.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის ECTS- ის შესაბამისად, სადაც 1 კრედიტი უდრის 25 საათს და გულისხმობს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (45 კრედიტი) და კვლევით კომპონენტს. პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია (ექვსი სემესტრი). არსებობს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები.

საგანმანათლებლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება სადოქტორო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სასწავლო კომპონენტი ეხმარება დოქტორანტს წარმატებით გამოიკვლიოს და დაწეროს დისერტაცია და მომავალში განახორციელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა. არსებობს კურსების დიდი არჩევანი და პროგრამის გუნდის სათანადო ხელმძღვანელობით, ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს გააკეთონ სწორი არჩევანი ხარისხზე მუშაობის პროცესში. კვლევის კომპონენტის მიზანია მეცნიერული კვლევის დამოუკიდებელი წარმართვის პრაქტიკული ჩვევების გაღრმავება, პროფესიული კვლევის კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება.

სტუდენტის მიერ გასავლელი გზა ამ სასწავლო პროგრამის ფარგლებში საგულდაგულოდ იყო შედგენილი პროგრამის გუნდის მიერ. სწავლის პირველი სემესტრი ითვალისწინებს: სამ სავალდებულო სასწავლო კურსს (15 კრედიტი) და ერთ არჩევით კურსს (5 კრედიტი).

სწავლის მეორე სემესტრი ითვალისწინებს: სამ სავალდებულო სასწავლო კურსს (15 კრედიტი) და პროფესორის ასისტენტობას (10 კრედიტი). ასევე ამ სემესტრიდან დოქტორანტი იწყებს მუშაობას კვლევაზე და ხელმძღვანელის ჩართულობით ასრულებს კვლევის კომპონენტის პირველ ეტაპს - კვლევით პროექტს/ პროსპექტუსს. მესამე სემესტრიდან დოქტორანტი აგრძელებს კვლევაზე მუშაობას და ეტაპობრივად ასრულებს: კოლოკვიუმ - 1-ს, კოლოქვიუმ - 2-ს, კოლოკვიუმ - 3-ს, წინასწარ დაცვას და დისერტაციის საბოლოო დაცვას. სტუდენტი გადადის სემესტრიდან სემესტრში, რაც უზრუნველყოფს მათი, როგორც მკვლევრების მომზადებას და ცოდნის გაღრმავებას სასწავლო სფეროში. სასწავლო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, სტუდენტი საბოლოო კვლევით პროექტამდე მიდის. პირველი და მეორე სემესტრების დასრულების შემდეგ სტუდენტი მზად იქნება დამოუკიდებელი კვლევის ჩასატარებლად VIII საფეხურის შესაბამისად. თითოეული ეს კომპონენტი სავალდებულოა და ყოველი ეტაპის შესრულება მომდევნო ეტაპის წინაპირობაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.
- სტუ- ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის #01- 05- 04/261 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სადოქტორო სწავლების უზრუნველყოფა.
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/quality/Files/Pdf/sasc%20procesis%20instruqc.pdf
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "არქიტექტურათმცოდნეობა"
- პროგრამის დანართები: პროგრამის სწავლის შედეგები (დანართი 1) და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 2)
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები
- საზღვარგარეთ მსგავს პროგრამებთან შედარების დოკუმენტი
- დარგის სპეციალისტების გამოხმაურება პროგრამაზე
- აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- **არ არის მითითებული**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **არ არის მითითებული**

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჯგუფი კმაყოფილი იყო იმით, რომ აკადემიური შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ამ პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ეს აშკარად ჩანს თითოეული კურსის შინაარსსა და კრედიტების რაოდენობაში და რამდენად შეესაბამება ისინი ამ კურსის მიზნებისთვის გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებს. პროგრამის გუნდმა კარგად იმუშავა კურსის სათანადო აგებულებაზე, როგორც ეს სწავლის შედეგების რუკაში მოცემულ ინფორმაციაში ჩანს. პედაგოგები ფლობენ კარგ გამოცდილებას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს მაღალი ხარისხის სწავლებით სხვადასხვა კურსში. ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა, სწავლა- სწავლების მეთოდები ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შესაბამისად, სტუდენტები ისარგებლებენ კარგად დაბალანსებული, ყურადღებით აგებული პროგრამით, რომელიც საშუალებას მისცემთ მისდიონ თავიანთ ინტერესებს და განავითარონ საკუთარი კვლევის უნარები. სწავლის ხელშემწყობი საშუალებები და სასწავლო მასალა, მაგ. ბიბლიოთეკა, შეესაბამება VIII დონეს.

კურსის დიზაინის, შინაარსისა და მიწოდების მიზანშეწონილობის მონიტორინგი განხორციელდება ხარისხის უზრუნველსაყოფად და ჯგუფმა აღნიშნა, რომ ეს ასევე უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალურობას და პასუხობს სტუდენტებისა და სექტორის განვითარებად საჭიროებებს. სილაბუსის რეგულარული განახლება ასევე უზრუნველყოფს კურსის შინაარსის შესაბამისობას მიმდინარე აკადემიურ ტენდენციებთან და აზროვნებასთან.

მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელდების მტკიცებულება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მეთოდებში: ყოველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტი ახორციელებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს და მიღებული შედეგები ასახავს კურსის პროგრამასა და განვითარებას. ჯგუფი აღნიშნავს, რომ აკადემიური მოსწრების გასაანალიზებლად

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტების შეფასების სკალას, რომელიც შემუშავებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით, რომელიც ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას - 10%-25%-30%-25%-10%. სტუდენტის მუშაობის რეგულარული მონიტორინგი მყარი მეთოდოლოგიის გამოყენებით უზრუნველყოფს კურსის შესაბამისობას სტანდარტებთან და განახლებული დარჩება შინაარსისა და მიწოდების თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურათმცოდნეობა“
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის დანართები: პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1)
- „არქიტექტურათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის პერსონალის სია (დანართი 2)
- სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება- ანალიზი (პროტოკოლი #4)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ბიბლიოთეკის კატალოგი https://gtu.ge/Library/

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობისა და კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციებით და სტუ- ს დოქტორანტურის მარეგულირებელი დებულებით. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესები და პირობები განთავსებულია ვებგვერდზე: https://gtu.ge/Science/doctorantura.php

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე კანდიდატს უფლება აქვს ჩაირიცხოს და ისწავლოს დოქტორანტურაში, თუ შესრულებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაშვების ერთ- ერთი სავალდებულო წინაპირობაა დოქტორანტურის კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის პირობების დაცვა.

არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნებია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში ან მასთან დაკავშირებულ დარგებში. სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/ კვლევით საქმიანობებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერთიფიკატები, დიპლომები, პატენტები და ა.შ.). კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც ნაჩვენები იქნება კვლევის მიზანი და მიმართულება. B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან სტუ- ს საგამოცდო ცენტრში გამოცდის ჩაბარება. უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების მქონე აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აპლიკანტთან გასაუბრების ფორმატი (საკითხები, შეფასების კრიტერიუმები) განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელის ბრძანებით, ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული წინადადებების საფუძველზე.

დოქტორანტურაში მიღების წესები და პირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ის ატვირთულია სტუ-ს ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანალიზი
- სსიპ- სტუ დოქტორანტურის დებულება
- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი - https://gtu.ge/Arch/Educational_Program/doctorantura.php
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ამზადებს მკვლევარს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში არქიტექტურათმცოდნეობის მიმართულებით, რომელსაც აქვს ფართო ცოდნა მსოფლიო არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის, ასევე თანამედროვე, ეროვნული და რეგიონული ტენდენციებისა და თანამედროვე არქიტექტორების შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ; მას შეუძლია გააკრიტიკოს და შეაფასოს არქიტექტურული პროცესები, ისწავლოს და გაანალიზოს აქტუალური საკითხები, გამოიკვლიოს ინოვაციური საკითხები, მიიღოს მტკიცებულებებით გამყარებული გადაწყვეტილებები, განავითაროს აკადემიური/პედაგოგიური მუშაობის უნარ-ჩვევები.

სტუ- ს დოქტორანტურის დებულების მიხედვით, დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამი სტატია, რომელთაგან ერთი მაინც უნდა გამოქვეყნდეს ინდექსირებულ სამეცნიერო გამოცემაში (Web of Science, Scopus, Google Scholar) ან სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ სხვა სამეცნიერო გამოცემაში. სტუ- ს ადმინისტრაცია ხელს უწყობს დოქტორანტების სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალში სახელწოდებით „არქიტექტურისა და მუნიციპალური ინჟინერიის აქტუალური პრობლემები“, რომელიც 2011 წლიდან გამოდის და ასევე სტუ-ს კვარტალურ ჟურნალში.

სტუდენტები მონაწილეობენ სტუ- ს მიერ გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ფაკულტეტის ხელშეწყობით, დოქტორანტები მონაწილეობენ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში. ფაკულტეტის ინიციატივით წელიწადში ორჯერ იმართება სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება იმ მომენტისთვის აქტუალურ თემებს. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მხარდაჭერით მომზადდა პროექტი საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსში წარსადგენად.

სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს პროფესორის ასისტენტობას (არქიტექტურათმცოდნეობა), რაც გულისხმობს ხელმძღვანელთან ერთად სალექციო თემების მომზადებას, შუალედური შეფასების თემებზე და კითხვარებზე მუშაობას, ხელმძღვანელის დახმარებას, რამდენიმე ლექციის წაკითხვას.

პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მოდიფიკაციის პროცესში. ისაუბრეს არქიტექტურათმცოდნეობის პროგრამის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე და აღნიშნეს, რომ პროგრამას საქართველოს უნივერსიტეტებში ანალოგი არ გააჩნია და კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან სამუზეუმო სფეროში და არქიტექტურის კრიტიკის მიმართულებით. მათი აზრით, ეს გადამწყვეტია ამ დისციპლინების განვითარებისთვის.

სტუ- ს აქვს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, მათ შორის Erasmus+ მობილობის პროგრამები, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა დონის სტუდენტი და აკადემიური პერსონალი, თუმცა არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ამ დრომდე არ მიუღიათ მონაწილეობა მსგავს საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუ-ს დოქტორანტურის დებულება
- სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება
- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვებგვერდი - https://gtu.ge/Arch/Educational_Program/doctorantura.php
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები
- ფაკულტეტის სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი სახელწოდებით „არქიტექტურისა და მუნიციპალური ინჟინერიის აქტუალური პრობლემები“.

რეკომენდაციები:

- სამეცნიერო- კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებში ჩართულობის გაზრდა.
- ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება; დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში ჩართვა, მათი ინფორმირება და მოტივაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება- სწავლის მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და შეესაბამება სასწავლო კურსების შესაბამის დონეს, შინაარსსა და სტრუქტურას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სასწავლო და კვლევის კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტის მოცულობაა 45 კრედიტი, საიდანაც 40 კრედიტი მოდის სავალდებულო სასწავლო კურსებზე (მეცნიერული კომუნიკაციის ტექნიკა; სწავლების მეთოდები, არქიტექტურის ნალექი; არქიტექტურასთან დაკავშირებული ხელოვნებათმცოდნეობის კვლევის მეთოდები; თანამედროვე ქართული არქიტექტურის სხვადასხვა ტიპები; პროფესორის ასისტენტობა (არქიტექტურათმცოდნეობა), ხოლო ხუთი კრედიტი – არჩევით კურსებზე (კოდები და ნიშნები არქიტექტურაში; რეგიონალიზმის გლობალური მდგომარეობა, ფორმა ბრტყელ ზედაპირზე – ავანგარდი). პროგრამის მიხედვით, სასწავლო კომპონენტი პირველ და მეორე სემესტრში მიმდინარეობს. პროგრამის მიერ კვლევის კომპონენტის საფეხურებია: პროექტი/ პროსპექტუსი. 3 კოლოკვიუმი, წინასწარი დაცვა და შემდეგ დისერტაციის დასრულება და დაცვა.
საკვლევი კომპონენტის თანმიმდევრულობის დაცვა სავალდებულოა. კვლევის კომპონენტი ფასდება ერთხელ, ნაშრომის დაცვის ეტაპზე, საბოლოო შეფასებით.
სასწავლო პროცესი ტარდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. სასწავლო პროგრამებში გამოყენებული მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებს და უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებას.

გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები:

1. დისკუსია/ დებატები
2. თანამშრომლობითი მუშაობა
3. შემთხვევის ანალიზი
4. პროექტზე მუშაობა და მისი პრეზენტაცია
5. დემონსტრირება
6. წერითი მუშაობა
7. ანალიზი
8. პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
9. გონებრივი იერიში
10. ინდუქცია
11. დედუქცია
12. სინთეზი
13. სიმულაციური, როლური თამაშები
14. ვერბალური ან ზეპირი სწავლება
15. ახსნა-განმარტება

16. პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება

აღსანიშნავია, რომ არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია არის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი. სასწავლო კურსები თავისი შინაარსითა და სწავლა- სწავლების მეთოდებით ძირითადად მოიცავს არქიტექტურის ისტორიასა და თეორიას, რაც არის პროგრამის ლოგიკური და ყოვლისმომცველი სახელწოდება და მიზანი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - ასევე მნიშვნელოვანია მაგისტრის დიპლომი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში ან მასთან დაკავშირებულ დარგებში და ეს ბუნებრივია ნიშნავს შესაბამისი ცოდნის მქონე კანდიდატის მიღებას. კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დარგის შესწავლას და ვიზუალური ხელოვნების ანალიზს შესაბამისი მიმდინარე მეთოდოლოგიით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანალიზი
- სილაბუსები
- პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შედეგები.
- სწავლა- სწავლების პროცესთან დაკავშირებული მეთოდები და შესაბამისი აქტივობები. https://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf

რეკომენდაციები:

- სადოქტორო პროგრამას უნდა დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს ვიზუალური ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სხვადასხვა დარგის კვლევასა და ანალიზს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება 2007 წლის 5 იანვრის განათლების და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებას; სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაძლებლობით რომ გაიუმჯობესონ თავიანთი აკადმეიური მიღწევები.

საგანმანათლებლო კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, სპეციალურ კომპონენტებს, ფორმებს და მეთოდებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დადგინდეს, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. შეფასების სისტემა არის ზუსტად განსაზღვრული და ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პირდაპირ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისგან და კურსის მასწავლებლისგან მიიღონ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე სტუდენტთა მონიტორინგის სისტემის საშუალებით, რომელიც გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას მიღწეული შედეგების შესახებ.

ელ. პორტალის საშუალებით სემესტრის განმავლობაში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონიტორინგი აწარმოონ მიმდინარე შეფასებებზე, რაც მათ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ აქტივობებში მიიღეს. კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტები ფასდებიან, სასწავლო კურსის სილაბუსშია მოცემული, მათ სტუდენტს სასწავლო წლის დაწყების პირველივე დღესვე (ლექციაზე) აცნობენ. რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის ფასდება ერთხელ, თეზისის დაცვის ეტაპზე. თუმცა სტუდენტმა უნდა გაიაროს რამდენიმე ეტაპი, რაც სავალდებულოა: კვლევის პროექტი/პროსპექტუსი, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა და თეზისის საბოლოო დაცვა, ამ კომპონენტების თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელია და თითოეული ეტაპი წარმოადგენს შემდეგი ეტაპის წინაპირობას. სტუდენტს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ თავისი ქულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო პროგრამა "არქიტექტურათმცოდნეობა"
- სასწავლო კურსის სულაბუსი
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ელ. სისტემა სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მონიტორინგისთვის

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტების შეფასება:	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია ყველანაირი პირობა დოქტორანტი სტუდენტებისთვის, რომ ჰქონდეთ კომფორტული გარემო, რომ გამოიყენონ ყველა

შესაძლებლობა და გაიღრმავონ ცოდნა არქიტექტურულ მეცნიერებაში. მთლიანად ფაკულტეტი, კარიერის განვითარების სერვისი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულად ჩართულნი არიან საგანმანათლბელო პროცესის მიღწევების გაუმჯობესებაში ადამიანური რესურსების კუთხით, ვინც ურჩევს სტუდენტს სხვადასხვა საკითხს მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში. ისინი ხვდებიან პერიოდულად სემესტრის განმავლობაში, განსაკუთრებით ახალი აკადემიური წლის დასაწყისში პირველ ეტაპზე, და აწვდიან მათ სხადასხვა ტიპის ინფორმაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სპეციალური კომიტეტი ფაკულტეტზე, რომელიც პირდაპირ აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას და სწავლის პროცესს, კომიტეტის ერთ-ერთი წევრი არის დოქტორანტი. ეს კარგი შესაძლებლობაა უნივერსიტეტისთვის, რათა ნათლად დაინახოს ის აქტუალური საკითხები, რომელსაც სტუდენტი სასწავლო პროცესის განმავლობაში აწყდება. აკადემიურ პერსონალს კვირაში ორჯერ აქვს საკონსულტაციო საათი (2-2 საათი), ინფორმაცია ამის შესახებ მოცემულია არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვებგვერდზე და საინფომრაციო დაფაზე შესამჩნევ ადგილზე. სტუდენტები გამოიკითხებიან პერიოდულად და მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, ფაკულტეტი ითვალისწინებს კვლევების შედეგებს, რომელიც ხშირად არის მისაღები, რადგან სტუდენტთა ინტერესი გათვალისწინებულია.

ყოველწლიურად სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში. ამის დამდასტურებელი ინფორმაცია წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის მიერ და დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს. მიუხედავად ამისა, სტუდენტები გარკვეულწილად ერიდებიან გაცვლით პროექტებში მონაწილეობას.

ინტერვიუს დროს რამდენიმე მიზეზი იქნა დასახელებული, თუმცა სასურველი ფაკულტეტი უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტი სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროექტებში, რადგან სტუდენტებს სჭირდებათ გაცვლითი პროგრამები მათი კვლევითი კომპონენტის უკეთ განვითარებისთვის.

ამავე დროს, სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია სხადასხვა სამეცნიერო ბაზების შესახებ, ისინი არ იყენებენ უცხოენოვან წყაროებს და ეყრდნობიან მხოლოდ ადგილობრივ წყაროებს.

დაწესებულება სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა სტუდენტურ სერვისს, რომელიც წარმოდგენილია სხვვადასხვა ფორმით: სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტი, სპორტის დეპარტამენტი, კულტურის დეპარტამენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო პროგრამა "არქიტექტურათმცოდნეობა"
- სტუდენტების საინფორმაციო პორტალი - https://studinfo.gtu.ge/
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.
- თანამშრომლობის მემორანდუმი და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, დოქტორანტმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და გამოიყენონ უცხოური სამეცნიერო ბაზები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სემესტრის დასაწყისში, დოქტორანტები ადგენენ პერსონალურ გეგმას სადისერტაციო კვლევითი პროექტის შესახებ, ხელმძღვანელთან ერთად და ამ გეგმის შედგენა ეფუძნება მათ შორის ურთიერთშეთანხმებას, სადაც სტუდენტთა ინტერესი სრულად არის გათვალისწინებული. სამეცნიერო ხელმძღვანელი ურჩევს დოქტორანტ სტუდენტს სხვადასხვა საკითხს სასწავლო პროცესის განმავლობაში. როცა საჭიროა, უზრუნველყოფს მასალებს კვლევისთვის და მხარს უჭერს სტუდენტს მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში.

საქართველოს ტექნიკურ უნიერსიტეტს აქვს მექანიზმი სადოქტორო პროგრამაზე ვაკანტური ადგილების განსაზღვრის მიზნით. უნიერსიტეტში მოქმედი სადოქტორო პროგრამის რეგულაციების მიხედვით.

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები

სამაგისტრო/სადოქტორო თეზისების რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის რეგულაციები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად.

აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების ანალიზით დასტუდება, რომ მათი კვალიფიკაცია პასუხობს მოთხოვნებს, ფუნქციებს და კანონმდებლობას. მათ აქვთ დარგის შესაბამისი ცოდნა, პროფესიული ცოდნა და მრავალწლიანი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და აქტიური საერთაშორისო კონტაქტები. ბოლო 5 წლის განმავლობაში, მათ გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები, მონოგრაფები, წიგნები და სამეცნიერო სტატიები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ჟურნალებში. მათ წარმოადგინეს თავიანთი ანგარიშები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე, მიიღეს მონაწილეობა პროექტებში, გაცვლით პროგრამებში და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მხარს უჭერს (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მათ შორის დოქტორანტების ხელმძღვანელების მიერ ონლაინ/ოფლაინ სასწავლო და შეფასების მეთოდების ეფექტურ გამოყენებას.

პროგრამის განხორციელებაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გარდა ჩართულია ადმინისტრაცია და სხვა სტრუქტურული ერთეულები. აკადემიურ პერსონალს ხელმოწერილი აქვს აფილირების შეთანხმება. არქიტექტურათმცოდნეობის პროგრამას ახორციელებს 11 აკადემიური პერსონალი. პროფესორია 7, ასოცირებული პროფესორი - 3 და ასისტენ პროფესორი 1. ამჟამად პროგრამას არ ჰყავს მოწვეული პერსონალი და თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტ სტუდენტებს

შორის (11 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და 11 აკადემიური პერსონალი) რელევანტურია აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესისთვის.

არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამას ჰყას კვალიფიციური მენეჯერი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კვვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში უკვე მრავალი წელია. მას აქვს მუშაობის გამოცდილება სილაბუსებთან და სასწავლო პროცესთან. მან კარგად იცის დარგის სპეციფიკა და გამოწვევები. თვითშეფასების დოკუმენტისა და აკრედიტაციის ვიზიტზე მითითებით გამოიკვეთა თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო პროცესში აქტიური მონაწილეობა.

აკადმეიური პერსონალის პირადი დოკუმენტების ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ პროგრამის განმახორციელებელ აკადმეიურ პერსონალს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები, რომელიც კავშირშია არქიტექტურის ისტორიასთან და თეორიასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუების განმავლობაში, არქიტექტურის, ურბანიზმისა და დიზაინის ფაკულტეტის მომსახურების ხარისხის ადმინისტრატორმა, სამეცნიერო დარგის ქვედეკანმა და პროგრამის ადმინისტრატორმა დაადასტურეს, რომ კვალიფიკაციის მხრივ, მათ კონსულტაცია გაიარეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცნეტრის თანამშრომლებთან.

პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას სხვადასხვა ტიპის კონსულტაციით. ინტერვიუმ ასევე აჩვენა, რომ დოქტორანტი სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში და მათი ხედვები და არგუმენტები გათვალისწინებულია პროგრამაზე მუშაობის პროცესში.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს აქტიური საერთაშორისო კონტაქტები, ინტერიუს დროს ნათელი გახდა, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი საერთაშორისო სამეცნიერო-კვვლევით პროექტებში და პროგრამებში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**11**	**8**	**8**	**11**
- პროფესორი	7	5	5	7
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	_

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- სსიპ - სტუ რეგულაციები - https://gtu.ge/AboutStu/regulation.php
- სტუ- ის რეგულაციები საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განვითარებისა და შეფასების შესახებ №01-05-04/261 APPX 2019 წლის 23 სექტემბრის სტუ -ის აკადემიური საბჭოს რეზოლუცია
- სამეცნიერო სტატიები აკადემიური პერსონალის დასაქმების რეგულაციის შესახებ
- ონლაინ სასწავლო პორტალი
- პროგრამის მენეჯერთან, აკადემიურ პეროსნალთამ, დოქტორანტებთან, ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან., დამსაქმებლებთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- პროგრამაში დამატებით ჩართული უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც წაიყვანს სასწავლო კურსებს ხელოვნების ისტორიის, ვიზუალური ხელოვნებისა და თეორიის დეპარტამენტში.
- დოქტორანტების ინტეგრაციის გაძლიერება საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსები	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ – სტუ დოქტორანტურის დებულება განსაზღვრავს კონტინგენტის, სასწავლო, კვლევისა და სასწავლო და კვლევის კომპონენტების, ასევე ამ პროცესში ჩართული პირების შერჩევისა და ჩარიცხვის შეფასების წესებს და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ფაკულტეტის დეკანი აკადემიური კათედრის გამგესთან შეთანხმებით წარუდგენს წინადადებებს ფაკულტეტის საბჭოს დოქტორანტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი.

ამჟამად პროფესორები და ასოცირებული პროფესორები არიან არქიტექტურის დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები. დოქტორანტებთან, ბაკალავრებთან და მაგისტანტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი ხელმძღვანელთან ერთად ირჩევენ სადოქტორო თეზისის საკითხს. ამ პროცესში სტუდენტის ინტერესი გათვალისწინებულია, ისინი ხელმძღვანელებს აძლევენ უკუკავშირს. ისინი ფიქრობენ რომ ზოგადი გარემო ფაკულტეტზე არის მეგობრული და სამუშაო. ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი და დოქტორანტების ხელმძღვანელები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სტუდენტებს კონსულტაციით სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც მათ ეხმარება მოამზადონ საკონფერენციო საკითხები. დოქტორანტების მენეჯერებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, ნათელი გახდა, რომ დოქტორანტ სტუდენტებს ჰყავთ ხელმძღვანელები, რომელთანაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევით საკითხთან დაკავშირებით (სამუშაო, პულიკაციები, პროექტები და ა.შ,.). აკადემიური პერსონალის პერსონალური ქეისები და კვლევითი/პრაქტიკული სამუშაო დამატებით ადასტურებს ამას.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**	**?**	**7**
- პროფესორი	?	?	?
- ასოცირებული პროფესორი	?	?	?
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	–
სამეცნიერო პერსონალი	-	-	–
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული პერსონალი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**	**7**	**7**
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	1	1	1
სამეცნიერო პერსონალი	-	-	–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სსიპ - სტუს რეგულაციები სადოქტორო სწავლებასთან დაკავშირებით
- სტუ- ის რეგულაციები საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განვითარებისა და შეფასების შესახებ №01-05-04/261 APPX 2019 წლის 23 სექტემბრის სტუ -ის აკადემიური საბჭოს რეზოლუცია
- სსიპ - სადისერტაციო საბჭოს დებულება სტუ-ში
- პროგრამის მენეჯერთან, აკადმეიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანული დაგეგმარების ფაკულტეტზე მომუშავე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სწავლის, სამეცნიერო და კვლევითი მუშაობის მექანიზმების შეფასება გულისხმობს გარკვეული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას. აღნიშნული სამუშაოს შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესორების განვითარების, ჩართულობისა და დაწინაურების მხრივ.

არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანული დაგეგმარების ფაკულტეტზე პერსონალის პროფესიული განვითარების საქმიანობა განისაზღვრება სტუ-ს ადამიანური რესურსების ეფექტური მართვისთვის განსაზღვრული წესებითა და პრიორიტეტებით. ხარისხის შეფასებას და აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს პროგრამებთან შესაბამისობას ახორციელებენ სტუ-ს ფაკულტეტის კომისიები, რომლებიც ხარისხის სამსახურების დახმარებით ამზადებენ შესაბამის დასკვნებს. აკადემიური პეროსნალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება ტარდება წლიურად. დეპარტამენტების ხელმძღვანელები და დეკანის მოადგილეები უზრუნველყოფენ წლიური ანგარიშების მომზადებას სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლების დახმარებით. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი პროექტების შედეგები, მათი მონაწილეობა კონფერენციებში, ფორუმებში, სიმპოზიუმებში, და ასევე სამეცნიერო პუბლიკაციები და სხვა სამეცნიერო, კვლევითი და ექსპერტული ნამუშევრები წარმოდგენილია ანგარიშებში. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამომცემელი საბჭოები ასევე ფუნქციონირებს სტუ-ში.

აკადემიური პერსონალის განვითარების ცენტრი ასევე ფუნქციონირებს სტუ-ში. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ტარდება სხვადასხვა მიმართულებებით. პროგრამა ხორციელდება 2017 წლიდან.

ERASMUS + CBHE PROJECT# 585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP – PRINTeL, მთავარი იდეაა "ცვლილება საკლასო ოთახში: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სტუდენტების სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობა.

არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანული დაგეგმარების ფაკულტეტზე იმართება საჯარო ლექციები, სემინარები, საერთაშორისო კონფერენციები უცხოელი და ქართველი მკვლევარების

მონაწილეობით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, მაგალითად, ონლაინ სემინარების ციკლი ე.წ. ABET - აკრედიტაციის გამოწვევები და სტანდარეტები 03/2023; ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები - 03/2023 და ტრენინგები ფაკულტეტის აკადმეიური პერსონალისთვის - Horizon Europe. სპეციალური პროგრამა ახორციელებს Horizon Europe & Eit, 02/2023.

ტრენინგი სახელად "ელექტრონული ბილიოთეკა საერთაშორუსო რესურსების საბაზისო საკითხები. პროფილის შექმნა google scholar"- ზე (2022 წლის ოქტომბრიდან და ბევრი სხვა) ჩატარდა სტუ-ის ნიკო მუსხელიშვილის ბიბლიოთეკის ლიდერების მხარდაჭერით. სტუ მხარს უჭერს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას.

არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალი პერიოდულად ატარებს საჯარო ლექციებს წამყვან უცხოურ უნივერსიტეტბში (მილანის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლისაბონის უნივერსიტეტი და ა.შ.)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან
- ფაკულტეტზე კომისიების შექმნის ბრძანება, რომელიც ადასტურებს რეგულაციას და თანდართული დანართები: საგანამანთლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისიის წევრები; ფაკულტეტის კომისის რეგულაცია. (19.11.2019 № 01-09-10/273; 07.03.2023 №268941)
  https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/2023/32568134.pdf
  https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/2023/Addon-1403-1.pdf
  https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/2023/Addon-1403-2.pdf
- პერსონალის პირადი საქმეები;

  აკადმეიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა ქართულ უსდ-ში გამოცდილება და გამოწვევები http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/ICM%20Staff%20Mobility%20Study%202019.p

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საბაზისო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც განსაზღვრული სადოქტორო პროგრამით.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი მდებარეობს სტუ-ის N1 შენობის C ბლოკში. მთლიანი სივრცე არის 3233.5 მ2. და ფაკუტლეტის ოთახები აღჭურვილია შესაბამისად.

ფაკულტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო წიგნებით და მეთოდოლოგიური ლიტერატურით, რაც საჭიროა სადოქტორო პროგრამისთვის. არსებობს ის ძირითადი და საბაზისო ლიტერატურა, რომელიც განსაზღვრულია პროგრამით. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები იყენებენ მდიდარ წიგნად ფონდს და საინფორმაციო რესურსებს, უახლეს სამეცნიერო გამოცემებს, საერთაშორისო ონლაინ საბიბლიოთეკო ბაზებს. (Cambridge University Press (https://www.cambridge.org/core); Royal Society Publishing – journals (https://royalsociety.org/journals/); Bioone (http://www.bioone.org/); IMF eLibrary (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true); SAGE Journals (http://www.eifl.net/publisher/sage-publications-ltd); Edward Elgar Publishing (http://eifl.net/publisher/edward-elgar-publishing); Duke University Press (https://www.dukeupress.edu/). სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური ტრენინგებით მათ აქვთ წვდომა ბაზებზე ელ. ფოსტის საშუალებით.

უნივერსიტეტი უზრუნელყოფს რესურსების ონლაინ და ოფლაინ სწავლებას/სწავლას/შეფასებას საგანმანათლებლო პროცესში. დოქტორანტ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ტექნინკური ბაზის განახლება და თანამედროვე აპარატურის შეძენა არის სასურველი (მაგ. ფოტოკამერის).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკა- https://gtu.ge/Arch/Resources/library.php
- სტუ-ის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა
- ბიბლიოთეკის გამოყენების წესი და მისი ფილიალები https://gtu.ge/Library/Pdf/sarg_wes_2022.pdf
- პროგრამის ხელმძღვანელთან ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ფაკულტეტის ტექნიკური ბაზის განახლება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამების დაფინანსება განისაზღვრება არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო. პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას ფაკულტეტის ბიუჯეტი არ იძლევა. ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახადი. ინტერვიუს შედეგებზე, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებზე და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დამატებით

დოკუმენტებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ პროგრამა იღებს ადეკვატურ ფინანსურ მხარდაჭერას ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რაც უზრუნველყოფს მის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას. ეს დასტურდება პროგრამის ბიუჯეტით. პროგრამის ხარჯები მოიცავს: აკადემიური პერსონალის და შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასს; ლიტერატურის შეძენა, ბეჭდვისა და გამოცემის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები; სხვა საქონელი და მომსახურება (ტრენინგთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები; სესიების, კონფერენციების, კონგრესების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები; სამეცნიერო ხარჯები; საგანმანათლებლო მიზნებისთვის საჭირო ნივთებისა და მასალების შესყიდვის ხარჯები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუ-ს ბიუჯეტი; https://gtu.ge/AboutStu/stu-budget.php
- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტი 2023
- არქიტექტურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი
- აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
- ინტერვიუები უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის მიერ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტები 2021 და 2022
- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლ	☒	☐	☐	☐

ის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

შესაბამისობა პროგრამასთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს უნივერსიტეტის აქტივობების და არსებული რესურსების მუდმივი შეფასებისთვის. სისტემა ფუნქციონირებს მისიის, პოლიტიკის, ლეგალური და სხვა ვალდებულებების კონტექსტში. ამის გარდა 2022 წელს, სტუს მიიღო ISO 9001 სერტიფიკატი. არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებდა საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებს ფაკულტეტის თანამშრომლებთან ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების მოთხოვნების, უმაღლესი განათლების საქართველოს რეგულაციების განხილვის მიზნით, ასევე განიხილებოდა გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის თვითშეფასების პროცესში შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვის მიზნით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი მხარს უჭერს და ამონიტორინგებს მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით პროცესს ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან გასაუბრების მიხედვით, ასევე, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით შეიქმნა

სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს დოქტორანტურის პროგრამის თვითშეფასებას. პროგრამის დირექტორი იყო სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ჯგუფის თითოეულ წევრს ჰქონდა დავალებები. სტანდარტების შესაბამისად, ჯგუფის თითოეულ წევრზე გადანაწილებული იყო შესასრულებელი სამუშაო. თვითშეფასების ჯგუფის წევრები ხვდებოდნენ სისტემატიურად და სამუშაო ფორმატში აანალიზებდნენ ინფორმაციას. თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა და თანდართული დოკუმენტები განიხილა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურმა, უნივერსიტეტის ცენტრალურ ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურთან შეთანხმებისა და წარდგენის მიზნით. უნიერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს კონსულტაციებს და ჯგუფის წევრების დახმარებას თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების მომზადების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დანერგილია PDCA (დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-მოქმედება) ციკლის შესაბამისად. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნელყოფის სამსახური იყენებს შეფასების სისტემას შიდა ხარისხის შეფასების კონტექსტში: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა, საგანამანთლებლო პროცესის შეფასების სისტემა, პერსონალის შეფასების სისტემა, პროგრამის განვითარება. პროგრამის განვითარების მექანიზმის მიხედვით, ყოვლისმომცელი ანალიზი ჩატარდა, რაც მოიცავდა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებისა და პოზიციის ანალიზსს (აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგერდი
- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაცია
- 2019 წლის 23 სექტემბრის # 01-05-04/261 რეზოლუცია "სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემშავების, შეფასებისა და განვითარების წესი"
- შიდა ხარისხის უზრუნელყოფის მექნიაზმები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის #01-05-04/108 რეზოლუციით.
- ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი დებულების დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი დანართები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისიების შემადგენლობა; ფაკულტეტის კომისიის დებულება;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა
- შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზის დოკუმენტი
- პროგრამების შეფასების კომისიის ოქმები
- შეხვედრების ოქმები არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების საფუძვლებისა და თეორიის განყოფილებასთან

- დარგის სპეციალისტების უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებით
- საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტების ანალიზი
- უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების შედარება
- აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
- ინტერვიუები უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ბაზრის კვლევა ფაკულტეტის საბჭოს შეხვედრების ოქმები, საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების კომისიის ანგარიში, ფაკუტლეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო გეგმა (2021-2023), რექტორის ბრძანებები სასწავლო პროცესის დაგეგმასთან დაკავშირებით 2020-2022 წლებისთვის.
- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2012 წელს, პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ. აკრედიტაციის ჯგუფის, ასევე საბჭოს მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები, გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიცირების სხვადასხვა ეტაპზე.

საგანმანათლებლო პროგრამა რამდენჯერმე განიხილა დარგის ექსპერტმა. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა დადებითად შეფასდა ადგილობრივი სამი და ერთი უცხოელი ექსპერტის მიერ: ა) საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის თავმჯდომარის, საქართველოს უნივერსიტეტის არქიტექტურული ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ; ბ) „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორის მიერ; გ) ააიპ „საინჟინრო იდეა“ დირექტორის მიერ; გ) არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის (მალტა) პროფესორის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუ-ს ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურის ვებგვერდი https://gtu.ge/quality/
- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- სტუ-ის ხარისხის სამსახურის რეგულაცია
- 2019 წლის 23 სექტემბრის # 01-05-04/261 რეზოლუცია "სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემშავების, შეფასებისა და განვითარების წესი"
- შიდა ხარისხის უზრუნელყოფის მექნიაზმები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის #01-05-04/108 რეზოლუციით.
- შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზის დოკუმენტი
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #551 - https://eqe.ge/ka/decisions/4400/show
- დარგის სპეციალისტების შეფასებები
- დასაქმებულების და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უნიერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ. საგანამანათლებლო პროგრამის მონიტორინგის და შეფასების პროცესი მოიცას ყველა მხარეს. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შეფასების შედეგების ანალიზზე დაფუძნებით, პროგრამა არის შეცვლილი. აკადემიური და მოწვეული პერსონლი, დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები, სტუდენტები და კურსდამთავვრებულები ჩართულნი არიან შეფასების პროცესში. შეფასებები ხორციელდება როგორც შეხვედრების ასევე კითხვარის საშუალებით. პროგრამის შეფასებისთვის, მიღებული ინფორმაცია განიხილება და გაანალიზდება. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებაში და სააკრედიტაციოდ მომზადებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთის ფაკულტეტის კომისია შეიქმნა რექტორის ბრძანებით. კომისია შედგება აკადემიური პერსონალისგან და სტუდენტებისგან. კომისია აფასებს საგანმანათლებლო პროცესს და განიხილას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან. ფაკულტეტის კომისიის მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის დადგენილი ნორმების შეფასებას, მათ შორის: პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სწავლა/სწავლისა და შეფასების მეთოდების პერიოდულ (შიდა, გარე) შეფასებას; სწავლის შედეგების შეფასება, პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარება, პროგრამაზე არსებული მოთხოვნა, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, სტუდენტური მომსახურება, პროგრამის თავსებადობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროგრამის შედარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგური პროგრამები; პროგრამის კონკურენტუნარიანობის, ფინანსური და აკადემიური მდგრადობისა და პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასება.

თითოეული კურსის ბოლოს, სტუდენტები ანონიმურად აფასებენ (კითხვარის საშუალებით) ლექტორს. ასევე, ანონიმურად ფასდება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი და კითხვარი არ მოიცავს შეკითხვებს სამეცნიერო-კვლეითი კომპონენტის ასევე სამეცნიერო

ხელმძღვანელის შესახებ. საჭიროა, მომზადდეს სპეციალური კითხვარი დოქტორანტებისთვის, რომ ანონიმურად შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუ-ს ვებგვერდი https://gtu.ge/quality/
- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- სტუ-ის ხარისხის უზრუნელყოფის რეგულაცია
- 2019 წლის 23 სექტემბრის # 01-05-04/261 რეზოლუცია "სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემშავების, შეფასებისა და განვითარების წესი"
- შიდა ხარისხის უზრუნელყოფის მექნიაზმები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის #01-05-04/108 რეზოლუციით.
- ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი დებულების დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი დანართები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისიების შემადგენლობა; ფაკულტეტის კომისიის დებულება;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა
- შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზის დოკუმენტი
- პროგრამების შეფასების კომისიის ოქმები
- შეხვედრების ოქმები არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების საფუძვლებისა და თეორიის განყოფილებთან
- დარგის სპეციალისტების უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებით
- საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტების ანალიზი
- უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების შედარება
- აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
- ინტერვიუები უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ბაზრის კვლევა ფაკულტეტის საბჭოს შეხვედრების ოქმები, საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების კომისიის ანგარიში, ფაკუტლეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო გეგმა (2021-2023), რექტორი ბრძანებები სასწავლო პროცესის დაგეგმასთან დაკავშირებით 2020-2022 წლებისთვის.
- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- **პროგრამის მონიტორინგმა უნდა უზრუნველყოს, რომ დოქტორანტებმა ანონიმურად შეაფასონ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☒	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები: არქიტექტურათმცოდნეობა (დოქტორანტურა) VIII

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	☐	☒	☐	☐
3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐

4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სრული სახელი, ხელმოწერა

დანა არნოლდი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ია ნაცვლიშვილი

ნინო ჭოგოშვილი

დიმიტრი ცანავა